

# კ ვ ა ლ დ



სამეცნიერო და სალიბერატორო ნახაზებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 42.

ოქტომბერი 10, 1893 წ.

№ 42.

**შინადა:**—გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.—ჩვენი უკულმართობა, ლექსი ი. ივანაშვილისა.—სამური ე.—ლისა.—კითხვების პასუხი გ.წერეთლისა.—მერკლის გამოთხოვება სამშობლოსთან, ლექსი ჩხერიშელის-პირელისა.—სამეურნეო ნდობა გ. წერეთლისა.—სიმღერა, ლექსი ბაჩანასი.—სიმღერა-ზმა, ლექსი მისივე.—გატეხილი ვაზა, ლექსი გ. აბაშიძისა.—ცხვრის სიმღერა ლექსი ბაჩანასი.—მსხვერპლი გ. ბარნოვისა.—სახუმარო გასართობი.—განცხადება.

## გ ა ბ რ ი ე ლ

### ეპისკოპოსი იმერეთისა

**მ**ეტრამეტე საუფუნეში არც ერთი ქველმოქმედი ქართველის სახელი იმდენს სიაზიანებს და ღრპა პატივისცემას არ აღძრავს თავის ხსენებით თითოეულის ქართველის გულში, როგორც ყოველად სამღვდელო გაბრიელი. ეს არის თავის ქველმოქმედებით და სათნოებით ნამდვილი წარმომადგენელი, ნამდვილი მეგვიდრე იმ ძველთა წმინდა მამათა, რომელთა სახელი შორიდან უნათებს ქრისტიანობას, აზნავეებს და უღვიძებს მას სულიერს ძალას.

ყოველს ერს თავის ისტორიაში გამოუცდია ისეთი



გაბრიელ, ეპისკოპოსი იმერეთისა.

წამი, როცა მისი ცხოვრება დამგზავსებია უფსკრულ ბნელს ღამეს, საცა ოდნავ ციანის შუქიც არსიდან სჩანს ხშირად ეს წყვილადი არის ხანგრძელი, როგორც ზამთრის გძელი ღამე, როდესაც ტანი გრძნობს სიცოცხეს და შეშდება აუტანელი ქარბუქის ყინეთა. ყოველი კაცი სასოწარკვეთილებამა ამ ღროს ჩაეარდნილი, აღარაინ მოცილის კიდევ გათენებას, ამისთვის რომ აღმოსავლეთით აღარ სჩანს მისი კვალი. ასეთია ზამთრის ღამის შთაბეჭდილება, ასეთი შეუბრალებელია მისი ზედმოქმედება. მაგრამ, აი, ძლიერ აღმოსავლეთისაკენ განკრთა რალაც ელვასაგით და ცოტას ხანს შემდეგ კიდევ ამოაშუქა

განთიადის ეარსკვლავმა. მაშინ ყოველი სულდგმული განიხარებს ამ მოვლევარ ეარსკვლავის დანახვით, მის გაციებულს გულში შეატანს რაღაც სითბო, რომელიც აღიზიანებს გარშემოკრულს ყინვას და იზრდება იმედი მომავლის სითბოსა და სინათლის ვაძლიერებისა. სწორედ გაბრიელიც ასეთი განთიადის ეარსკვლავია საქართველოს ეკლესიისთვის, მეცხრამეტე საუკუნეში მოვლენილი.

ვინ წარმოადგენს, იმერეთის საღვდლოება რარივით დაცემული იყო გაბრიელ ეპისკოპოსის მოვლენამდე. იმ დროს სარწმუნოებისათვის ერის გული მეტად გაციებულყო, საღვდლოება უმეცარი და ანგარებით შეჭყობილი. ასეთმა მდგომარეობამ იმდენზე მიადწია, რომ ანგარი ხელი საქართველოს ერის წმინდა წმინდათასაც კი შეეხო. ეს ის დრო იყო, როდესაც გელათის ხახულის ღვთისმშობლის ხატი, ეს ერთად ერთი უზენაესი სასიკაღლო გვირგვინი საქართველოს ძველი დიდებისა და კულტურისა, გაძარცვეს მისი საოცარი ხელოვნება, რომლის მგზავნი არსად მოიპოვებოდა, რომელსაც ანდა წაუშლილი კვალი ჩვენის წარსულის უმაღლესის განათლებისა, სიმდიდრისა და ძლიერებისა, უსჯულო ხელმა გააქარწყლა. დღეს რომ მისი კუბო ვამხდარა ასეთი განსაკვირებელი ნიმუში ჩვენის გონების განვითარებისა, რომლითაც თვით რუსეთს მოაქვს თავი ევროპის წინაშე, მაშ საკუთრად ხახულის ღვთისმშობლის ხატის სამკაულის ხელოვნება რაღა უნდა ყოფილიყო?

„ხოლო ახალმან ევსელიელ სოლომონ სამყაროსა მზებრ აცისკრა მორფი შენია“— გეუწყებს ზედწარწერა. აი, ეს სამყაროს მზის მგზავნი ხელოვნება დღეს საშუალოთ დაკარგული შეიქნა საქართველოსთვის და კაცობრიობის მეცნიერებისათვის.

უბრალოდ არ გძნობდა იმერეთის ერი და მიხი საღვდლოება თავის თავს დაზარალოდ და სასოწარკვეთილად ამ საკვირველი ქმნილების დაკარგვისათვის. უბრალოდ არ მოსთქვამდა ცხარის ცრემლით 1859 წელს ეპისკოპოსი გერმანე, როცა გელათიდან ქუთაისში მოასვენეს გაძარცველი ნაპოვნი ხატი ხახულის ღვთისმშობლისა, შუაზედ გატეხილი სტიროდა მაშინ ღვდლომთავარი და სტიროდა მისთან ერი. აი, ამდროს მოვიდა იმერეთში გაბრიელ ეპისკოპოსი და თავისი მხნე მოქმედებით, იოანე ოქროპირისებრი მკვერმეტყველებით და წმინდა ნიკოლოზისებრი სათნოებით მოჰყენა ხალხს სასოება და ნუგეში სცა ზნეობით დაზარალებულს საღვდლოებას. ოცდა ათის წლის მის მოღვაწეობაში მას არ დარჩენია არც ერთი

თი ნიმუში ჩვენის საზოგადო ცხოვრებისა, ოჯახებრივის დამოკიდებულებისა და ღვდლო-მოქმედებისა, არც მათი ზნეობრივი, მოქალაქობრივი და გონებრივი მხარე, რომ მისი მკვერ-მეტყველება არ შეზღუდეს, არ გაცაცხოს ნაკლოვანება და არ აღედრას იმედი განახლებისა და გაუშუაბესობისა. მისინა ქადაგებანი დღეს თითქმის ყოველ იმერეთის ეკლესიაში წირვის დროს ისე იკითხება, როგორც წმინდა მამათა ნაწარმოები. ამ ქადაგების კითხვით და მისი აზრის შეგნებით ახლდება ერი ზნეობით და განუბით; იმ ქადაგებაში, როგორც დაუშურტელს გონებრივს და ზნეობრის წყაროში ნათლდება და მაღლდება მისი ზნეობრივი ბუნება.


ქადაგებას ვარდა გაბრიელ ეპისკოპოსი საქმიოთაც შეიქნა ნამდიელი წინამძღვარი და გზის მაჩვენებელი თავის სამწყსოსი. ეს არ წარმოუდგება მისი მზრუნველობა სასულიერო სკოლებისადმი, მისი დაარსებული ბავის ორკლასიანი სკოლა, მისგან უზრუნველ ყოფილი საქალბო გაბრიელის ეპარხიული სკოლა. ის კი არა, ეგონებ, იმერეთში არ დარჩენილა არც ერთი დადრდამილი, რომელსაც არ განეცადოს მისი მოწყალება, არც ერთი კატოთოკეარული საზოგადო დაწესებულება არ დაარსებულა იმერეთში, რომ გაბრიელი არ შეწყოდეს. ვინ არ იცის, რამდენი იღვაწა გაბრიელ-ეპისკოპოსმა სასულიერო სემინარიის დაარსებისათვის ქ. ქუთაისში; ჯეროვანი ხარჯიც კი შეკრიბა ამისთვის საღვდლოებაში, მაგრამ თუ ვერ განახორციელა მან ეს თავის გულითადი სურვილი, ამის მიზეზი მხოლოდ უშლეველი ვარემოება შეიქნა და სხვა არაფერ.

არ შეგვიძლია აქ არ მოვიყვანოთ ერთი შესანიშნავი მომენტი მისის ცხოვრებისა. ის იყო, რუსეთში აღიძრა სულდურთმეულის იმპერატორის აღექვსანდრე მეორის მიერ გლტების განთავისუფლების საქმე. ჩვენში ძალიან შორს დაიჭირა თავდაზნაურობამ ეს ცვლილება. იგი აღღვებულყო იყო. იმერეთში მაინც ამ სავანზე არაფის შეეძლო ხმა-მალა ლაპარაკი. გაბრიელ ეპისკოპოსმა ერთ კვირა დღეს, 1864 წელს, სწირა მოავარ-ანგელოზის ეკლესიაში. დიდძალი თავდაზნაურობა დაესწრა ამ წირვაზე, ყველანი ელოდნ ღვდლო-მთავრის სასიამოვნო ქადაგებას. ვათავად თუ არა წირვა, გაბრიელი დადვა ამპიონზე და დაიწყო ბატონ-ყმობის მძინეარე დამოკიდებულებაზედ ქადაგება. მასმა სიტყვამ მოხეტია მთის ნაკადულსავით ძლიერად; მან დახატა ცოცხლად გლტების უნუგეშო მდგომარეობა ბატონის ხელში. თავდაზნაურობამ დაიწყო დრტინე; იგი

თან-და-თან ლელდებოდა. მოისმა თვით საყდარში ლედელ-მთავრის გმობა; მაგრამ გაბრიელი არ შეუშინდა, მან დაასრულა თავის ძლიერი სიტყვა. მან მიხედ-მოიხედა და შეამჩნია, რომ აღარც ერთი მიბატონე აღარ დარჩენილა ეკლესიაში. შოლოდ მის წინაშე იდგენ გლენხი და ლერიდენ მდლლარე ცრემლებს.

ეკლესიის გალავანში კი შეიქნა დიდი ხმაურობა. ლედელ-მთავარს მოახსენეს, რომ არ გამობრძანებულყო ეკლესიიდან. გაბრიელი არ შეუდრკა ასეთს თავდაზნაურობის მძინერებებს. იგი გამოვიდა ეკლესიიდან გულმაგრად, ეითარე პირველ საუკუნოების მოწამე. ამ დროს მოისმა ხმა-მალა ყვირილი ერთის ფიცხის აზნაურის კ. კანდელაკისა, რომელმაც წამოისროლა უშვერი სატყეები: „ერთს დღეს დაბადებულვიარ და ერთ დღეს უნდა მოკვდეთ“.

მას ედვა ხელი ხანჯალზე და თითქოს ცლილობდა მიხლოცებოდა ლედელ-მთავარს. გაბრიელმა გადააელო მას ლომობიერი თვალები. კ. კანდელაკი ამ შეხედვამ, თითქოს გააქევა, ადგილიდან ევლარ დაიძრა. გაბრიელმა ჩაუარა გვერდით, ჩაბძანდა ეტლში და წავიდა ბინაზე. კ. კანდელაკი დარჩა გალავანში და მთრთოლვარე ხმით იძახოდა: „მძლია ლედელ-მთავარმაო. ეს ოხური ხელი ხანჯლის ვადაზე შემაცივლაო“. იმდროს იმერეთის სალედლოვება ბევრად უკან იყო ჩამორჩენილი ქართლ-კახეთის სალედლოვებაზე. დღეს კი სულ სხვას გნდავთ. იმერეთის სალედლოვება დღეს ბევრად წინ არის, გონება-გამოღვიძებულია, ზნეობითაც უფრო ამაღლებულია, ვიდრე ამერეთისა, გაბრიელ ებისკოპოსის მეოხებით. მან დიმიხაზურა სახელი მამა იმერეთისა, რომლის ხანგრძლივს სიცოცხლეს ყველა ენატრობთ ჩვენდა სანუკუნოდ.



ჩვენი უკუღმართობა



აღაბრუნდა ქვეყანა; ჩვენც ვეძლევიტ ცელილებას; მაგრამ ზოგიერთები ეგრ ნიშნავენ მის ნებას.

გუშინდელი გოგია დღეს ეანჩკათ შეეცილოა, და კიკოლიკა ბიჭი სოცდაგრათ ვადაქწილა.

ქართლის ქალი ქართულსა ახლა აღარ კაღრულობს; დღე და ღამე ტიტინებს— უცხო ენით ეღურტულობს.

გუშინ ვისაც ქვეყანა სასაცილოდ ხაღიდა, დღეს ევლარაინა სცნობს, ისე მაღე ვაღიდა.

ქვეყანას ემუქრება უცნაური ჰანგებით; მსურს წალექოს მთაბარი მან ცილის დაწამებით.

ავერ ისიც ქვეყანას დიდ შეელას რომ ჰპირდება,

თითო-ორიოლა გროშსა ეშმაკივით აკედება. ღარიბ კაცს ტყავს აძრობს, ართმევს დილორსა საზრდოს; სრულად არ უჯივრდება მომავალს და თვის ბოლოს. შეხედეთ მას, ვისაც კი პატიოსანს ვეძახდით; გაიძვერა ყოფილა; ჩვენ კი ვერა გნდავით, და ქვეყანას იმითი დიდათ ეამეღებდით; მომავალს ბედ-იღბალსა ჩვენ იმაში ვეძებდით.

სიტყვით რა არ აღვეითქვა სარგებლობის მოტანა; დღეს კი ჩვენში ბევრი სჩანს გაიძვერა მისთანა. თავს დაბლა ხრის ბრძენივით, ხალხში ღარიბს ხელს აწევდის და ჩუმათ კი ეს ბრძენი მასვე ტანჯვას უქაღის...

ავერ ისიც, სიმაართლეს გროში რომ ამჯობინა,

უსამართლობით ყველა  
ქვესკნელში ჩააძვინა.  
ის მსაჯული ბძანდება  
და ეინ რას გაუბედავს:  
მის წინ სული დაჰბერო,  
ტყვეობისკენ თავს უკრავს.

ესეც მოუზრავია,  
სრულგებით არ იღებს ქრთამს;  
მხოლოდ სხვისი ფულებით  
ის აშენებს თავის სახლს..  
საქართველოს ამგვარი  
შვილები აღეზარდენ;  
მომავალ დრომ რალა ჰქნას,  
რომ ცუდი ძენი დახედენ.

ლიტერატურა ცდილობს  
ერში სწავლა ამრავლოს  
და ჟურნალ-გაზეთები  
ერთი ორად უმატოს.  
ყოველ დღე თავს გიხებთქენ  
უცნაური ჰანგებით

და თავი მოგვაბეზრეს  
უმცირული კითხვებით.

წელიწადში ოთხჯგრა  
ბანკი კრებასა მართავს  
უკულმართსა ხერხებსა  
ამრავლებს და არ მაღაღს.  
იქვე სტირის საბრალო  
გლები, მშვიტ-მწყურვალნი;  
თვალეზზედ მოსდგომია,  
იმ უბედურს კურცხალი.  
ჭირნახულს უყიდიან,  
ჰკარავს წლიურსა საზრდოს;  
არ იქნა ვერ შეიგნეს,  
რომ ბანკმა მას უშველოს.

მთლად იცვალა ქვეყანა:  
მგელი ცხვის ტყავს იკრავს;  
მელა ენას იგმელებს  
და ბასრ კბილებსა მალ აეს.  
ქადაგებს ღიდ-ღიდებსა,  
გაკეთებს გვირღებდა;  
ჩუმად კი მისი ჯიბე  
წელა-წელა ირღებდა.

ი. ივანაშვილი



ს ა მ უ რ ი

(ცოხის)

**ს**ირუტყვეს შორის ყველაზედ უფროსი და  
ზორბა სპილოა, ლონიერი და გამედავი კი  
ლომია; ამის გამო ეს უკანასკნელი ირიცხე-  
ბა პირუტყვების მეფედ. შესანიშნავია აგრეთვე სამუ-  
რი: თუმცა ის არც ზორბა არის და არც ღიდი ლო-  
ნე აქვს, მაგრამ მისი ბეწვი ბევრად უფრო ძვირფა-  
სია, ვიდრე ლომის ტყავი.

ბუნების მეცნიერები სამურს კვირნას ნათესა-  
ვით სთვლიან და მართლაც გარეგანი შეხედულებით  
ის ძალიანა ჰგავს უბრალო ტყის კვირნას, ოღონდ  
თავი უფრო გმელი აქვს, აგრეთვე ყურებიც უფრო  
დიდი, კუდი კი მოკლე აქვს. მისი ბეწვი მუქი ფე-  
რის არის და ბრწყინავს როგორც ნამდვილი აბრე-  
შუმი. ეს ლამაზი ტყავი სამურისთვის სწორედ მისდა  
საუბედუროდ მიუცია ღმერთს; იმის გულისთვის მო-

ნადირეები ათასობით იჭერენ და ჰყლავენ ამ საცო-  
დავ პირუტყვებს.

უწინ სამური მრავლობდა ციმბირში, კამბატკის  
ტყეები ხომ სულ გატენილი იყო, ისე რომ იქაური  
მცხოვრებლები სამურის ბეწვით იხდიდნენ ხარკს და  
აგრეთვე სცელიდნენ უსაჭიროებს საფენებზედ. ღიდი  
ხანი არ არის მას აქეთ, რაც კამბადალები და ცი-  
ნოდენ ყაზახს, რომელიც ამ ძვირფას ტყავში აძლევდა  
უბრალო დანას. მაშინ მონადირეს შეეძლო ერთ  
ზამთარში ოთხმოცამდე ეშოვნა სამურის ტყავი და  
თითო ტყავში ათი შურის მეტს არაფერ აძლევდა;  
ახლა სამური ძალიან იშვიათია და თითო მისი ტყავი  
ათი შურის მავიერათ ათ თუნდაც ღირს.

სამურზედ ნადირობა ახლა ძალიან ძნელია, მა-  
გრამ მაინც ყოველ წელიწადს მონადირეები მილიან  
ციმბირის ტყაებში (ტყეებში) მარხილებით, რომლებ-  
შიაც ძაღლებმა შებმული.

ტყავებში აქა-იქ დაფანტულია უბრალო ქოხე-  
ბი სადაც ჩერდებიან მონადირეები. აქ ისინი იწყებენ




ნადირობას და ყოველ გეარ ღონისძიებას ხმარობენ სამურის ხელში ჩასაგდებათ; იმას კელენ თოფით, იჭერენ ბადით; მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად მახეს უგებენ. ყოველ დილას მონადირეები თბილამურებით დადიან მახეების დასათვალიერებლად. აი, მონადირემ შენიშნა, რომ მახეში ფართხალობს ძვირფასი ცხოველი; ისარსავით გაჭანდება და ერთ წაშში კეტით სულს გააფთხობინებს. მაგრამ ხშირათ მოხ-

დება, რომ მონადირე სამურის მაგიერათ მარტო ტყეის ნაფლეთებს ნახავს; უეჭველია წუწკი ძელია შეჭამდა ცხოველს და ამითი აზარალებდა მახის დამგებს 50 ან 60 მანეთს, კიდევ უფრო გასაფრთხილებელია მონადირესთვის ქარიშხალი, რომლის გამო ხშირად მონადირე სამურის ტყავს თავსაც გადაატანს. მაგრამ ისინი მოგების გულისთვის მაინც არ იშლიან და განაგრძობენ ამ საშიშარს ნადირობას.

სამურს ძალიან უყვარს თბილი სისხლის ხერება. მტერია პატარა ცხოველების, განსაკუთრებით თხუნულების და კურდღლებისა, რომელთაც ჯერ თბილ სისხლს ვამოსწუნის და შემდეგ სულ შესჭამს. ხასიათით ძალიან ჰგავს კერნას; მასავეთ გამმეღადი, მოხებერებული და ავია მისი მიჩვევა ძალიან ძველია. ერთს ტობოლის არქიელს ჰყავდა ძალიან შერეული და მოშინაურებული სამური. იმას წითელი ღვობით ეძინა; მხოლოდ ღამე გამოფხიზლდებოდა და გამხიარულდებოდა. დანახავდა თუ არა საქმელს, მაშინვე

ხარბათ მივარდებოდა, მერე წყალს დალევდა და ისევ მაგრათ ჩაიძინებდა; ამ დროს ასე გვეგანებოდა მეკდარიაო; თუ გინდა კიდევ გვეცემა და გეწვალავთა, მაინც არ გაიღვიძებდა. მით უფრო მოუსვენარი იყო ღამ-ღამობით. ის ძალიან ემტერებოდა ყოველ სისხლის მსმელს პირუტყვს: დანიხავდა თუ არა კატას, საშინლად განახლდებოდა, უკანა ფეხებზე დადგებოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ სიამოვნებით დაუწყებდა ჩხუბს.

ე—ლი.



### ქიოხხევის პასუხი

**გ**ენი საბაასო სავანი იყო სიტყვა „ლაშა“ და „ქორაკოს-ქორავისკოპოსის“. ამ სავანების შემსახებ მე არც „ქართლის-ცხოვრების“ განმარტება მაქმყოფილებს და არც საბა-სულხან ორბელიანისა. რამდენათაც შემქმდლო ორივე ესენი ისტორიულად და ფილოლოგიურად გამოვარკვეე და კიდევ განვიგორებთ: მე არ მწამს, რომ ძველი აფსარები და მეცამეტე საუკუნის აფხაზები ეთნოურად ერთი და იგივე ხალხი ყოფილიყოს; არც ის მწამს, რომ „ლაშა“ „ალაშარადან“ წარმოებდეს.

ჩემი აზრი, ვარკვევით წარმოთქმული, ის არის, რომ სიტყვას „ლაშას“ არიულს მოადგმის ენებში უნდა ჰქონდეს ფესვი. ვარკვევით „ქორაკოსის“ ანუ „ქორავისკოპოსის“ წინწინფლობა უნდა წარმომდგარიყოს ძველ ქრისტიანულ იერარხიულ მონღოლისაგან, როდესაც სასულიერო მწყემსი საერო გამკებელიც იყო. ამის საბუთებში, რამდენიც სადმე მოიძიებოდა, „ისტორიულს ფილოლოგიურს კლევასში“ მთავიყენე და შეძლებისსა მებრ დაემატკიცე. რამდენათაც საბუთიანი იყო ჩემი გამოკვლევა, ამისი ვარჩევა და დაფასება იმ მეთსტორიებისათვის მიმინდვია, რომელნიც ბ-ნ მოსე ჯანაშვილზე უფრო განვითარებულად მიხანნია. ზოლო რაიცა შეებნა იმ კითხვას, რომ ბაგრატ მე III \*) ყოფილიყოს დავით კურაპალატის ძმის წული და არა ბიძაშვილი-შვილი—ეს რომელი წყაროდან ამო-

ვიკითხავსო, ამაზედ აი, რას მოგახსენებთ: მე ეწერ ისტორიულ მონოგრაფიებს ჩენი მდაბიო მკითხველებისათვის, რომელთაც მინდა ცოცხლად დაეხატო უმოთარესი ისტორიული მომენტები ჩენის წარსულისა და ამის გულისთვის მე ეხმარობ, რაც შეიძლება მდაბიო ტერმინებს და ერის ცოცხალს ენას. ზოლო მდაბიო ქართულ ენაში ბიძაშვილები ძმებად არიან ცნობილი და ბიძაშვილი-შვილი ძმისწულად; ადვილ გავებისათვის ეიხმარე ეს ნათესაობითი ტერმინი და არა იმისთვის, რომ ეინმე შეცდომაში შემეყვანა, თორემ დარწმუნდით, რომ ეახუშტას მიერ შედგენილი გეოგრაფიის ტრატე, რომლიდანაც ეგ ცნობა გამომგინერბით, როცა თქვენ სემინარიის მოიერ კლასში ბჰან ეფობით, მე მაშინ მქონდა ვადაფურცლული და შესწავლული.

გვეკითხებით საიდან სჩანს, რომ ლაზები მეექვსე საუკუნეში უფრო სეანურს ენაზე ლაპარაკობდნო? იმავე მეცნიერული მეთობიდან, რომლითაც ლენარმანი და ჰაიდკლერკი ამტკიცებენ ქართველების მოსახლობას ძველის-ძველად მკიერ აზიაში, თორემ მტკიცე საბუთი წერილობითი კი არა არს-რა დარჩენილი ვარდა ბიზანტიელების მეთსტორიეთა ცნობისა ზანების შესახებ, რომელნიც ჰკონიათ მით სეანებდა.

აი, შემოხსენებული მეთობი რას ამტკიცებს. მაგალითად ჰაიდკლერკმა შეკრიბა ყველა სახელედი მთებისა და მდინარეებისა მკიერ აზიაში და მისი აზრით ამ სიტყვებს ქართველთა ენის მოადგმაში აქვს ფესვებო. ისტორიულს ევოლუციაში ყველაზე უფრო მტკიცენი და უცვლელნი რჩებიან ადგობების, მდინარეების და მთების სახელედი, რომლებზედაც მკვლევარმა უნდა დაამყაროს თაეის მოსაზრება შესახებ ძველის ძველის ერის მოსახლობისა. ამ სახელეების ფილოლოგიური განხილით ჰაიდკლერკმა გამოი-

\*) მკითხველს ეს ბაგრატ III ნუ ეგონება მეთექვსმეტე საუკუნის იმერეთის მეფედ ბაგრატ III-დ, რომელზედაც ჩვენ გუქვანდა თ. ფორდნისათან ბასი. პირველი იწოდება ქართველთა ორბების შემართებულად — მეთერთმეტე საუკუნეში; საუკეთესო ნაშუები ჩენის ისტორიულის ცხოვრებისა მის დროს ეკუთვნის.

ყვანა, რომ მომეტებული ნაწილი მცირე აზიისა ჰეროდოტისა და ქსენოფონტის დროს და იმათზე ბევრად წინაჲ უნდა ყოფილიყოსო ქართველის მოადგმის ხალხებით დასახლებულიო.


ლენორმანმა გაარჩია ენის სოლისებური ზედწარწერები და შეადგინა ის აზრი, რომ ასურეთის კულტურის (განათლების) დროს, ენის ტბის პირებზედ ქართველთა გვარნი უნდა ცხოვრებულყოყენო, რადგან იმ ზედწარწერებში სიანს ქართული ენის გრამატიკული ფორმებია.

ამ მეთოდის-და-გვარად მომეტებულს ნაწილს შვი ზღვის პირის ხალხების სახელებსა, რომელნიც ჰეროდოტს, სტრაბონს და იმათზე წინ კიდევ სცილაჲს გადმოუციათ ჩვენთვის, ატყვია სენაური კილო, როგორც მაგალითად თვით სიტყვას აქსარს, რომელიც არის მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან აბსუა. დაბოლოება აზ სენაური გრამატიკული დაბოლოებაა მრავლობითის რიცხვისა. თვით ზოგიერთს სახელებსაც მდინარისას, მთებისას ქვემო და ზემო იმერეთში დღემდის ატყვია კვალი სენაურის ენისა, როგორც მაგალითად, **ღაქსუძა, ღაღაძა, ღანსხუთა-ღოზანი, ღენტეხა, ღენჯარა, ღაკრაბა** და მრავალი ხხვა. შესანიშნავი უფრო ის არის, რომ ბიზანტიისა და საბერძნეთის ისტორიკოსებს ადგილისა და ქვეყნების სახელები დასაელეთ საქართველოსა სენაურის ენის მოადგმის კილოთა აქეთ ჩაუწრილი და ეს გარემოება უნდა გვიმტკიცებდეს, რომ ისინი თავის ცნობებს იმ ხალხიდან კრებდენ, რომელიც

პოლიტიკურად იმ დროს უფრო გაძლიერებული უნდა ყოფილიყო ამ მხარეში, რომლის ენაც მაშინ ალბათ უფლებდა ამ ნიადგაზედ იგი პიემგზავსებოდა უფრო ახლანდელს სენაურს, ვიდრე ქართულს. აი, ეს გახლავთ ჩემი საბუთი. შეიძლება მე ეცდებოდე, მაგრამ ამას მეცნიერულ მეთოდითვე უნდა უარყოფა და არა ღრეკეთ. თქვენმა შენიშვნამ „საკლიაზე“ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ თქვენ ისიც არ გსმენიათ, თუ რა არის ფილოლოგიური მეთოდი კვლევისა. ჩვენ გვაქვს სჯა ნათესაურ ენებზე, რომელთაც სიტყვის ფესვები საერთო აქვთ და არა იმ სიტყვებზე, რომელნიც ერთი ენიდან მეორე ენაში კულტურის მიმართებით შესულან. მაგალითად ჩვენ ქართულში ბევრს რუსულ სიტყვებს ეხმარობთ: „ზაკონი“, „ზაონი რემენი“ და სხვა, მაგრამ, აქედან ის კი არ გამოდის, რომ ეს სიტყვები ქართული ენის სიტყვების მონათესავე იყოს, როგორც მაგალითად ვინმე მუსა-ოღლი თათარი ძალით რომ ჩამოგიდგეს საბლში და ადგილ-მამული გაგიყოს, ამითი ხომ ვერ დაემატიცებთ, რომ მუსა-ოღლი მოსე ჯანაშვილის ნათესავე ყოფილიყოს.

დანარჩენი თქვენი კითხვები სამაწაფო ვარჯიშობად მიმაჩნია, არცა ერთც პასუხის ღირსად.

გ. წერეთელი.



მერყსლის გამოსთვეება სამშობლოსთან

**ს**აყვარელო სამშობლოე!  
დღეს ცრემლით ვეთხოვები  
და კვლავ თუ კიდევ გნახებ,  
ბედნიერი ვიქნები.

თან მიმყება იმედი,  
რომ ზამთრით შეწყუბებულს  
და ცივ ქარ-ყინვისაგან  
ჩაგარულს და მისუსტებულს

გაზაფხულის ცხოველი  
მზე მოგფენს თავის სხივებს

და დაადნობს უცერად  
შენს მკვლელს ყინვის ბორკილებს.

მაშინ მაცოცხლებელი  
მოგბერს ნიავე თბილი  
და იწყება სიცოცხლის  
მოძრაობა, დულილი...

მაშინ გამოიღვიძებ  
და მკვლრეთითა აღსდგები,  
შეიმოსები ტურფად,  
კეკლუცად აღყვავდები.

ბაღში გაგქმლებიან  
ვარდ-ზამბახის კოკრები

და მოჰყენენ ამო სუნს  
შენს არეს დღეს მკნარებში.

მაშინ ციურს ხმებს დამოღერს  
ვარდის მტრფობი ბულბული  
და მის ტბილი ჰანგებით  
აგიტაკდება გული, -

და ლაყვარდასა ცახედ  
ნახი მშვიდად მოარე,  
ხშირად გიწყებს ტრფობასა  
მკრთალი ღიმილით მთვარე,

და შენისა შენებით  
ძალზედ მოხიბლულგბით  
ციდან მემოგკინებენ  
კაშკაში ვარსკვლავები;

თან სანეტარო ხმითა,  
როგორც სირინოზები,  
მწყობრად ქებას შეგასხმენ  
ზეცი ანგელოზები.

დღეს ეინატრი, მეც იმ დროს  
თბილს ქვეყნიდან მოუფრინდე  
და შენს შეწეიერებას  
ქიქვიით შევხაროდე.

არ ეინაღელი სამშობლოც,  
მასუკან დამიწებას,  
რადგანაც მოვეწერები  
მე შენსა ალყაყვებას.

ილ. ჩხერიმელის-პირელი.



### სამეურნეო ნღობა



მეწი მიწათ მოქმედება და სამეურნეო მრეწველობა უფულობის გამოსიყვანის უკიდურეს მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ მეტი აღარ მოხერხდება. თითქმის ყოველი ჩვენი მეურნე და მიწადამომკმედი ნამდვილი ყმა და მონაა ფულიანი კაცებისა: ყოველს წლიურს მოსავალში ნახევარია რომ პატრონს დარჩეს დიდი საქმეა, დანარჩენი მიაქვთ ფულიანი კაცებს სარგებელში. ეს ნახევარი ჭირნახული ან პირდაპირ ნასესხების ფულის პროცენტად იკარგება, ან ფასების დაწევაში გასყიდვის დროს: როგორც გიკუდებს, ისე გილარდებსა-ნათქვამია. ჩვენი სოფლის მეოჯახები, გინდ გლეხი იყოს, გინდ თავდაზნაური, სულ ერთია, ორივე თანასწორი ყმა და მონაა კაპიტალის მექანიკისა, რომელსაც თუ მუხლი არ მოჰყამე ხეყნით, ნახევარ ფასსაც არ იძლევა ჭირნახულში. ჩვენ გვევლიან, რომ საადგილ-მამულო ბანი იხსნიდა სოფლის მეურნეს და მეოჯახეს ამ გაჭირებისაგან; მაგრამ უხადელ კი სულ სხვას ეხედათ. ვერც ერთი მამულის მკატრონე, რაკელსაც საადგილ-მამულო ბანკში დაუგირაყვება თავის მამა-პაპული, ვერ გადარჩენილა, რომ ადგილ-მამული არ გაყიდვოდეს. ზოგი მათგანი დიდი ხანია გამოეთხოვა თავის მიწა-წყალს, ზოგიც ისე დაელოდნებულა შეიქნა, რომ დღეს თუ ხვალ, იმათაც სხვების ბედი მოეღის. ამ სახით საადგილ-მამულო

ბანკმა ფულის სარგებელი დაბეჭში და სიფლტეში კიდევ უფრო გააძვირა წინანდელზე და ამასთანავე ყოველი მოსესხე ფულისა ბეჭის ხილზე შეავლო და დღეს თუ ხვალ ისიც სხვებსაკეთა ელის იქიდან ცარიელზე ჩამოაქარდნას. ასეთმა გარემოებამ მეტად დააეკლიანა ჩვენი სოფლის ხალხი, ადგილ-მამულის მკატრონეც მეოჯახეც, იგი გადაიქმნა მოხარკე მონად. რა ეშველება ასეთს მდგომარეობას? ერთადერთი სახსარია, ჩვენი აზრით, იმის ნელნელა გამოსახსნელად ეღობადან ის გარემოება, როდესაც მეოჯახისა და მიწათ-მომკმედის ხელთ იქნება იაფი სარგებლიანი ფული, რომ ყოველ დაჭირებების დროს ადვილათ მოინაცვლოს ხელი და მუდამ შეუბრალდებელი მოვალის კლანჭებს ში არ იყოს ჩაყარნილი მეოჯახის ნაოფლარი, მასი ნაჭირნახულევი.

ახლად შედგენილს ტუილისის სამეურნეო ურთიერთობის წესდებას მიზნათ აქვს დაეხმაროს ასეთს გაჭირებულს მდგომარეობას ჩვენი სასოფლო მრეწველობისას. მაგრამ სამწუხაროდ თითქმის ყველგადა იხსნის არის შედგენილი, რომ ჩვენ ახლაც შევიძლია დაბეჯითებით ეთქვათ, რომ იგი საკუთრად სოფლის მეურნეობას და მიწათ-მოქმედებას დიდს სამსახურს ვერ გაუწყვეს. აი, რისთვის? საბედობა ეს ახალი წესდება ვალმოწყრილია ხარკის მეორე საურთიერთო ნღობის საზოგადოების



წესდებიდან. შემდგენელთ, ანუ უკეთ ვთქვით, გადამწერით, სრულდებით არ მიუტყვევიათ ყურადღება ჩვენის სოფლის მწარმოებლის მდგომარეობისათვის. ის კი არა, თავისი დამატებით და ზოგიერთი მუხლების შეტკეოთ, რაც ხარკოვის წესდებში კარგი და ადვილი სატირთველი რამ ყოფილა, ესე იგი შრეწველობისათვის სასარგებლო, იგი უფრო დაუმძიმებიათ. მაგალითად მეორე ხარკოვის წესდების მესამე მუხლში სწერია: „ყოველი წვერი საზოგადოებისა, წვერად გახდომისათავე, მოვალეა ნაღდთ შეიტანოს ათი პროცენტი იმ ფულისა, რომელიც წვერმა შემდეგში სესაათ უნდა გაიტანოს ხოლმე...“

ჩვენ შემდგენელებს კი იმავე მესამე მუხლში თავის წესდებისა ათი პროცენტის მაგაურად ოცა პროცენტი დაწესებათ, ესე იგი ბანკში შესატანი საწვერო ფული ერთი ორად გაუღდივებით ჩვენის სოფლის მეოჯახბთესს, რომელსაც კავიციტ უჭირს, იმის მაგიერათ რომ საწვერო ფულის შეტანა შეეძვირებინათ, ერთი ორად უფრო მეტი გაუზღდიათ; შეოავათის მიტემის მაგიერათ კიდევ უფრო დაუმძიმებიათ მისი მდგომარეობა, ეოდრე ხარკოვის გუმბრინის მრეწველისა. არ ეიცით, რა მოსაზრებით მოუზღენით ეს ამბავი? ხარკოვის წესდების მეცამეტე მუხლის შენიშვნაში სწერია: შემოსავალ გასაელის აღრიტების დროს, ბანკიდან გამოსულს წვერს ყველა ზარალს ბანკისას არ უანგარიშებენ. გამოსულს წვერს მოეთხოვება მონაწილეობა ზარალში მხოლოდ იმ

დღემდის, როცა მან უარი განაცხადა წვერობაზე, ან გარიტხულ იქნა წვერობიდან.

ჩვენ შემდგენელებს ეს შენიშვნაც გადმოუწერიათ და თავისი მეორე შენიშვნაც ჩაუმატებიათ, რომელიც სრულდებით ეწინაღმდეგება პირველ შენიშვნას. ერთი მეორეს არღვევს და გამოდის ბოლოკი.

ხარკოველ წესდების შემთხმეტე მუხლის მესამე პუნტში ჩვენ შემდგენელებს ჩაუმატებიათ, რომ ჰირნახული: ლინო, პური, სიმილი, ქერი, ბრინჯი, ბამბა, თამბაქო, მატყლი და აბრეშუმი უკეთვთ მიიღება გირათთ, უსათუოდ უნდა დიზღვევოს ერთი თვით მომეტებულად, ვიდრე ფულის გადახდის ვადა იქნება, აგრეთვე ერთი თვით კიდევ მომეტებულთ ქირა ჰირნახულის შენახვაში უნდა გადაიხადოს მებატრონემ, ხოლო თვით ჰირნახულის მებატრონეს ნამდვილი ფასის ნახევრის მეტს არ მისცემენ სესხად.

ყველამ იცის, რომ ჰირნახულის დაზღვევა ძვირად ღირს; ახლა ამას უნდა წაუმატო შესანახავი სახლის ქირა, ერთი თვით მომეტებული პროცენტი და კიდევ ქირა, ამაზედ უნდა შესუსვა თვით ბანკის პროცენტი და გამოევა, რომ სოფლის მწარმოებელმა უნდა გადაიხადოს მანეთზე ააშურომდის სარგებელი. სოფლის მწარმოებელი იტყვის: „არა, ძმავ, მაგდენ დავიდარაბას ისევ ჩემ მეზობელ მიკიტანთან მქონდეს საქმე ის მირჩენიაო. მეტს არც ის გადამახდევინებსო“. აბა, მოთხარათ, სადღა არის აქ მრეწველობის და მეურნეობის ხელის გამართვა?...

გ. კერთელი  
წმმდღვი იქნება)



ს ი მ დ ე რ ა .

სიმღერა-სმა.

**შ**ალე ამოელენ ვარსკლანერი, დიღბან არ დინახებენ. ღამით და თვალთა ცემითა მთვარესაც დაიბარებენ. უშნოდ ღბინი არა მაქვს, შუქსა ვერ მამახვარებენ. წახელ და დავაიწულებო.. დღენი არ გავამწარებენ. შენი ღამაში თვალემი ახლა სხვას გაახარებენ.

**შ**ვამლო ჰირი შემყრია, თავი ვერ დამხწვეია, არც ვამობა, ვერ გამიძლია, ვერც ვისთვის გამიზხელია. მწვეს და მღვეს, წამალს ვერა ესვამ, თავს გული\*) გამომრეცია, დალოლო მითი ვავგიტდე; თავს ვიცე ხმლი მჭრელია. არა-და, რა ვქნა? წყა-დავა გენიად გადამტკევია. სიკედლილი ორივე სწორია, ეფიქრობ, ვერ ამირჩევია...

1887 წ. ბახანა.

### გატეხილი ვაზსა

(სული პრიუდიმიანი)

გუძღენი გ. დ—ძს.

**მ**ეხ ამ ეაზას... ოჰ, რა ნაირად გვარდთ თაიგული მასში დამკვნარა... ოღნიე შეგებით შეუძნეველად ერთხელ მარამ იგი გაბზარა. მაგრამ დლითი-დღე უფრო გადიდა ამ გაბზარულის სიერცე პატარა—დღეს უცხო ეაზას ნელა, ქურდულათ ნარღვევა ირგელიე შემოუარა.—

წყალი, ჩასმული ვარდთ მაცოცხლებლად შიგ აღარ იცდის, წვეთ-წვეთად შრება, თაიგულისა ძალი, სიცოცხლე მიიპარება, შიდის და მქრება... არ, არ შეგბოთ კეკულესა ეაზას: გატეხილია — დაიღუბება!...

ხშირად ამ გვარად უმწეველად ხელი, სასიყვარულოდ შენგან რჩეული, გულს გაგიკაწრავს... შემდეგ ქურდულად მას ირგელიე უელის უხზომი წყლული..

სიყვარულისა მისი ყვავილი სამულამ-ჟამოდ იქნება მკნარი... მას მაინც ყველა ჰრაცხს ხელ-უხლებლად!... თვით გული კი ჰგრძნობს,სდის ცრემლთა ღვარა:

ნაკაწრი მკირე დლითი-დღე ნელა მატულობს,—მთელს გულს ეპატრონება... არ, არ შეგბოთ საბრალო გულსა: გატეხილია—დაიღუბება!...  
გ. აბაძიძე.

### ცნვრის სიმღერა

**მ**ოდესაც შექმას გლამიან, ყურის ყრუება რად უნდა? მოკეთეს მოკეთურადა, მტერს მტრულად დახვედრა უნდა. მელა მაშინებს, თორემ მგელსა ხომ ვიცო, რაც უნდა.

### მ ს ხ ვ ე რ ზ ლ ი

(ისტორიული ამბავი)

**მ**ეტრე-პავლობას, 178... წელს, ალავერდელი შევიდა სასახლეში ბ. ერეკლესთან. იმას შეეცა თან ევროპიულად ჩაცმული ახალგაზდა ანდრო. ასე ერქვა, შეგვერემანს ახლად აშლილ წვერ-ულვაშებიანს ეაყვას. იმის მაღალ შუბლს წლოვანების ნაოკი ასდევდა; ფაქირანი სახე ხანდა-ხან, ლაპარაკში სიცოცხლით ეცებოდა და მაშინ იმის დიდრონ შეე-თვალენს თითქოს ნაპერწყლები სცივოდა.

ანდრო ახლად იყო დაბრუნებული რუსეთიდან, როდესაც ბოლოს-და-ბოლოს საქართველოს გაუქირდა, შეგნებულმა მამულიშვილებმა იგრძნეს, რომ წინანდელი წეს-წყობილება აღარა კმარადა, რომ საქირო იყო შემოეტანათ საქართველოში ევროპიული განათლება და იმისი შემწეობით გაეუმჯობესებინათ, როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო და საეკლესიო ცხოვრება. ეს საშუალება ისე აუცილებლად მიიჩნდათ, რომ დაუწყეს ნიჭიერ ახალგაზნდებს უცხო ქვეყნებში გაზენა სასწავლებლად. მართალია ჯერ ათასში ერთსა გაზენიდენ, მაგრამ მეფეს იმათი გამრავლება და თითონ საქართველოში დაარსება ევროპულად მოწყობილი სასწავლებლებისა მიხნდა ქონდა.



ანდრო დიაკენის შვილი იყო. თელავის სემინარიიში, როგორც ობოლი, საეკლესიო ხარჯით იზღებოდა, სემინარია ჩინებულად გაათავა და რუსეთში გაგზავნეს სწავლის დასამთავრებლად. იქ ყმაწვილი გატაცებით დაეწაფა ცოდნას და საქმოდ განვითარებული დაბრუნდა საქართველოში.

გარეთ ვასულ ანდროს ერთი ათად გაუცხოვდა სამშობლოს სიყვარული.

— ჩემი სამშობლო, მართალია, ბუნებით შეუვალა, მაგრამ პატარაა, ზრძოლით არის დაღლილი, გარშემო ბევრი მტერი ახვევია, ყველასა მსურს ხელში ჩაივლოს ის და, ვაი, თუ ქართველების გმირობაც ევლარას გახდეს, თუ დროზედ არ მოეფინა იმას მეცნიერების ნათელი, ფაქრობდა ის უცხოეთში და აორკეცებდა შრომას, რომ შემდეგში შესძლებოდა რამე სარგებლობის მოტანა მამულისათვის.

ანდრო ისე იყო ამ აზრით გატაცებული, ისე გულმოდგინედ ცდილობდა, როცა ჩამოვიდა საქართველოში, იმის გახორციელებას, რომ სურდა ყველაფერი იმისთვის შეეწირა.

იმას არ უყვარდა აქა-იქ სიარული, მოკრძალებული და უცხოებაში შევიწროებულად გრძობდა თავს, მაგრამ ორიოდ ოჯახში მანაც კი სიამოვნებით დადიოდა ხანდისხან, მგალითებრ თავად ომარის ოჯახში, რომლის სახელი „ბატონ-წყაროს“ ზევით იდგა.



გული შეიძლება დამოარჩილოს რომელიმე ახრამა, შეიძლება დაუბნას ენებებს ღელვა, მაგრამ მარტო ღროებით და რამდენათაც უფრო დიდხან აჩიან ენებები შეკავებულნი, იმდენად ძლიერია იმათი დენა, როდესაც დასძლიევენ დაბრკალებას. ასე მოუხდა ანდროსაც, იმისი გულის სიმების ძვებას ხელს უშლიდნენ იმისი აზრები; ვანებას დემოარჩილებინა გული, მაგრამ ამ დამონებამ მარტო იქამდის გასტანა, სანამ შეხვდა არსება, რომელმაც ძალიან აუღელვა გული. მაშინ კი დალუბა გრძობების ღელვამ ამისთან ბრძოლაში გამოუცდელი ანდრო.

მკათათვის 18 ს ომარისიანთ კარის ეკლესიის დღობა იყო. კარგი დარი იდგა. წინაღობით დაწვიმული მიწა გამშრალიყო, ცა ფრთათავით ღრუბლებით შემოსილიყო, ნიაფი სისინებდა, ეს ყველა ძალას ართმევდა მზის სხივებს. ომარისიანთ ეზოში ორ ალაგას იყო სუფრა გაშლილი: ეზოში ხეებ ქვეშ, სადილობდა მდაბიო ხალხი, დიდ აივანზედ ნაღობობდნენ კეთილშობილები.

აივანზედ სუფრას ჩამწყობებოდნენ ერთ მხარეს ქალები, მეორე მხარეს კაცები. ქალების მძიმე ჩაცმა და ძვირფასი სამკაული კაცს გააკვირებდა. მაგრამ რად ეჭირებოდათ იმათ სამკაული, როდესაც ბუნებას თითონ ისინი შეექმნა სამკაულად! რით არ იყო სამკაული თუნდ ომარისის ქალა ელო? ტანადი, იმისი სახეს თითქო სეტყვი მარმარისილსავან გამოქანდაკებული მკერდი მოხდენილად იდგა წერტილ წელზედ. მის ნახს პირის კანს შიგნით გამოსჭევიდნენ მჭქვარე გრძობით აფეთქილი ძარღვები. მაღალი შუბლი ხელოვნურად აგებულ საფეთქლებს დაყრდობოდა. სქელი წაბლის ფერი თმა ხშირად ეყარა ბექტებზედ. კილოიანი დიდრონი თვალები მთეარისაგან განათებულ ცას გვანდნენ. მერმე როგორ შევლურად იცოდა შეხედვა! იმისი მკაუბი თითო-თითო ქალად ჭირადა.

საკვირელი იყო ელოს საქმე! თელავ ი უშვენიერეს ქალად ითვლებოდა, მაგრამ ბევრი კი ბედავდა რამე წონი დაელო იმისთვის: მიხერა-მოხერა არ უყარავა, სიმაღლზე აკლიაო... ეს უკანასკნელი მართალი იყო, ლეკურს მავალითად მარჯვეთ ვერ

თამაზობდა, მაგრამ შეუდარებელი იყო ის, როდესაც იჯდა სახე-დამშვიდებული. მაშინ ვერც ერთი თელაველი ქალი ვერ წაუფლი და წინ. იმისკან აღტაცებაში მოდიოდნენ უფრო დარბაისელი ხასიათის მექონნი, გულ-ამჩატებულს ახალგაზღობას კი არ მოსწონდა, როდესაც ის დაკინებით გადახედვდა ხოლმე მოლიმარე თელავით.

ანდროს ამ ქალის პირდაპირ შეხვდა ჯდობა სუფრაზედ; ახალგაზღობა ჯერ მორცხობდა, ბოლოს კი ხალისი ტვამედლობა გამოიჩინა. სტუმრები შეზარბოშდნენ და ლაპარაკს უშატეს. ჩამოვარდა ლაპარაკი რუსეთზედ. მაშინ აუცილებელი იყო რუსეთზედ საუბარი, რადგან იქიდან ელოდნენ შეელას. ანდრო ცოდნით და დაღავებით ლაპარაკობდა ამ საგანზედ, აზრიანად სწონავდა ამ სამძიმო კითხვას, სინჯავდა ყველა მხრივ და ისე მოფინა იმას ნათელი, რომ დაწახება საზოგადოებას მოსაზრების შეუქმნევი ლაქები.

მსჯელობამ გაართო ელოც. რამდენიმე სიტყვა იმანაც ჩაურია ბაასში. თან ისე ტკბილად უღიმოდა ი დალოცვილი ანდროს, რომ თავბედი დაევიწყებინა.

ხალხი დიშვალაქ მასხინძლისას დარჩენ მარტო შეგვირებული მსმელები. სახანდროს ხმა და მრავალკამიერი განთიადამდის ისმოდა თელავის არე-მარეში.

წაიდა ანდროც, მაგრამ თავისთვის კი ევლარა სცნობდა, ვერ გავგო, რა მოსდიოდა მან თან გაიყოლა ელოს სახე, რომელიც მტკიცედ გულში ჩაებეჭდა.



კვირა ძალი იყო. ხალხი იკრიბებოდა ღეთაებში. ხატებს სანთელს უნთებდნენ, სასოებით ეამობრებოდნენ ეკლესიის კედლებს, გარს უფლიდნენ იმას ზოგი მუხლის თავით. და ფოფლითაც. ახალგაზღობს კი მინც-ლა-მინც დიდი გულ მოდგინება არ ეტყობოდათ: ცდილობდნენ ჩქარა ჩაერულიყვენ ტრლებში, რომლებიც საყდრის ეზოს ერთ კუთხეში მიჭებულნიყვენ. აქ თითქმის მთელს თელავის ახალგაზღობას ნახავდით; ისინი მუსაივობდნენ, ერთმანეთს ათვალთვებდნენ, მხიარულობდნენ.

— ყმაწვილებო! დიანახს სარიდან მგობინამე, ცოდვა არ არის ამ შეწინერ ღამეს ასე ვატარებთ? წაივდეთ ნადიკარზედ და ეიცეკო; აქ სივიწროეც არის და, ვაი, თუ მამა ეგნატეცაც ყუარჯნით დაგვიფრინოს დიარ-ნადარის ხმაზედ.

ახალგაზღობა გაემართა ნადიკრისკენ.

მთვარე დაჰყურებდა მიწას, როგორც მოტრფი-  
აღე მძინარე სატრფოს; იმისი სხივები კრთებოდნენ  
და ეკონებოდნენ ბუნებას. ერთი მხარე წამომდგარიყო  
(ცივი)\*, თითქოს დარაჯობდა ძვირფას კახეთს, მეორე  
მხრივ მოზანდალ კავკასიის ქედს; ძირს ჩაფენოდა მთე-  
არის სხივები ალაზნის ველს. დიდებული ბუნების  
შეილება მისცემდა ვულმარტებს სიხარულს.

ანდრო გაიტაცა ამ სურათმა.

— სწორედ ამ შენეირ ბუნებას ამისთანა საუ-  
ცხოვრო შეილება შეშენისო—ფიქრობდა ის. აი,  
თუნდ სარიდანი. ვინ დასდებს წუნს? რა სიმარადე!  
მთელი არსებით მისცემა სიამოვნებას. ბუნების  
შეილება: ამ წამს გარემოება შავს უღიმის, ცეცც  
დაუფიქრებლივ მზიარულობს, ხეალ ცხოვრება მოს-  
თხოვს სისხლის დაღრას, ცეცც დაუფიქრებლივ  
მორწყავს სისხლით სამშობლო მიწას. დაღ, სარი-  
დანი შეილება წამისა და კიდევ სარგებლობს ამ წა-  
მიერი ცხოვრებით. ეს დღეს ისეთივე მოეღწეა,  
როგორც თუნდ, აი, ის ალღის ხე; დაუბერა ნიაგმა  
და იმანაც ააყოლა ფოთლები, გადახარა თავი, და-  
წყნარდა ჰაერი, — დაწყნარდა ისიც. ორივე ერთ გვა-  
რად ემორჩილებიან წამის ბრძანებას. განა ყველანი  
ესე არ უნდა ესარგებლობდეთ ცხოვრებით? რატო  
მე კი დაუფიქრებლად არა ეტკებები ამ შენეირი წუ-  
თით? რატომ არ ჰქვებინან ჩემი შავი ფიქრები? რად  
ეწუხებარ ან მომავალზედ, ან წარსულზედ?... ერეკლე  
ახლა რად აჰწუხს, რად მისცემა ღრმა ფიქრებს სა-  
მშობლოს მომავალზედ?... არა სარიდანი ძვირფა-  
სია, მაგრამ მაგისთვის საჭიროა წასულზედ და მო-  
მავალზედ მზრუნველი გზის მაჩვენებელი. მაგის ხმა-  
ლი მაშინ არის სასარგებლო, როცა გზას უნათებს  
ერეკლეს ხმლის ელვარება; მაგის ზნეობითი სახე  
მაშინ არის სანდომიანი, როცა ნეკრესელი ახელ-  
მძღვანელებს. ვინ არ გრძობს მოწიწებას ერეკლეს  
წინ, როცა იმას თითონ ღმინში ვადღებდნენ ხოლმე  
სახენუ შავი ფიქრი? სარიდანი? — ის ძვირფასია, რო-  
გორც ახრი კი არა, როგორც იმისი გამახორციე-  
ლებელი იარაღი..

— რა შენეირი ღამე! რატომ თქვენ კი არ  
იღებთ ღმინში მონაწილეობას? — ჰკითხა ელომ, რო-  
მელიც მაულოდნელად დაუახლოვდა ანდროს.

— მეც ვიღებ მონაწილეობას... მე... მე კიდევ  
დამავიწყდა ცეცვა... დაღ, შენეირი ღამე ვახლავს,  
მიუგო ხმა-ათრთოლებულმა ანდროს.

— ვინ იცის, არც კი მოგწონთ ჩვენი ასეთი  
ყმაწვილობა, მაგრამ ყველას ხომ თავისი ღრმა აქვს:

თამაშობის ღრის თამაშობა უნდა, საქის ღრის  
საქე.

— როგორ არ მომწონს!.. საქის ღრის... და-  
იწყო ანდრომ, მაგრამ ქალმა აღარ დააცლა სიტყვის  
დათავება და გაშროლა. მერმე უცერად მოტრიალ-  
და, გაუღიმა და გადისროლა იმისკენ ყვეილები.

— შე უბედურო! ეუბნებოდა ანდრო თავის-  
თავს, დაგენა გონება? დაგება ენა, როცა ერთი  
მოხებრებული სიტყვა სიცოცხლედ გიღრდა?...  
...

აკრიფა ყვეილები და დასცქეროდა იმათ რას  
მოასწავებდა ელს ის ქცევა? ის ღიმილი და ცი-  
ვისა ხომ ახრ იყო? ეს ყვეილები იმედის ნიშანია  
თუ?...  
...

საენისკოპოსო სახლში ვახშამი იყო გამართუ-  
ლი, ნეკრესელი და ანდრო შეექცევოდნენ.

— ეკლესიისთვის აუტილებლად საჭიროა ახა-  
ლი ლამაზი, გააგროს საუბარი ალავერდელმა, ეკლე-  
სია და მამული განსაღვლში არიან. ვინ იცის, რა  
მოგველის! ღმერთმა გედღევრძელოს ბატონი ერე-  
კლე, მაგრამ მაგას შემდეგ, როგორცა ვხედავ, სა-  
ქართველოს რყევა მოელის. ვინ ყავს ეკლესიას ახა-  
ლი ნუგეში? ჩვენ მოვხუცდით და ვერც გამოვდგე-  
ბით ახალი ღრისთვის. შენ უნდა ანუგეშო ეკლე-  
სია: შენზედ განათლებული და ერთგული ვინა ჰყავს  
იმას?!

— მართლსა ბრძანებს ყოკლად სამღვდლო.  
შენ შეთვისებული გაქვს ახალი მეცნიერება. მიიღე,  
შეილო, სქემა და მალამოდ დაედე შენ სამშობლო  
ეკლესიას. ამ სოფლად ყველაფერი ამაოა, მარტო  
ღეთისა და მამულის სამსახური არის სასიკადულო,  
ჩაზოართვა სიტყვა ნეკრესელმა.

ანდრო უტრ ჩუმად იჯდა, დანას ათამაშებდა,  
მერმე ამოიხარა და თქვა:

— თქვენ იცით, რომ ჩემი მიზანიც ის არის,  
რის სამსახურადაც თქვენ მავუეეთ, მაგრამ, როგორც  
მოგახსენეთ, ექვმა შემიპყრო... განა აუცილებელია  
სქემის მიღება, ბერად შედგომა? განა არ შეიძლე-  
ბა წმინდა მოვალეობის ასრულება და თან სოფლის  
უღლის წყვა?

— არა, შეილო! „ვერვის ენელმწიფების ორთა  
უფალთა მონებად.“ თუ სოფელს მიყვები, ეკლესი-  
ისთვის მოუძღოლები; მთლად არა, — ვინ ამბობს! —  
მაგრამ იმის სამსახურად ძალა შეგმიტირდება მიუ-  
გო ალავერდელმა.

ვახშამს შემდეგ ანდრო აივანზედ გავიდა. ძლიერ  
დაფიქრებულმა ვერ შენიშნა, როგორ ჩაესვენა მთვარე

და ჩამოწვა ბნელი; ვარსკვლავებმა კი უმატეს ბრწყინვას, თითქოს არა სურდათ დაეთმოთ ქვეყანა ბნელი-სათვის. დიდხანს იჯდა ის ფიქრებით მოკლედი. აზრები შეუწყურებლად მოსდევდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბუნდი და გაურკვეველები იყვნენ; ისინი, ნაღვლით საესე-გები, ჩასტროზრულბედენ იმას რაღაც შეუძლებელს, თუ-ცა უსაქარაოს, საქმეზედ ფიქრები მოეზიდებოდნენ თა-ვინათ მგზავს პირქუშ გრძობებს და აწვეთებდნენ გულში ნაღველას.

— არა, ფიქრობდა ანდრო, ვერ მიეწვდები! თუ ვერ მიეწვდები, მაშ რაღად მიიდა სიცოცხლენ? ან რა გასაკვირვებია: მე მზეს დაუწყე პარდაპირ ყურება და დაბრძანებების მეტს რას უნდა მოველო-დე?.. რას მოვიგონებდი, რომ ჩემ ბედნიერებას წინ გადავლობებოდნენ ჩემი აზრებლები, — ისინი, ვისაც, ნაშვილ ვეცი, ძვირფასად უღირვარ! მაგრამ არა! მართლები არიან: ჰგონიათ პირადი ბედნიერება გა-მიტაცებს და არ იცაან, რომ ის ბედნიერება გააორ-კეცებს ჩემს მხნობას...

ანდრო მოქანცა ამ გვარმა სულის კეოებამ. ის ევლარ უძლებდა ფიქრებისა და გრძობების დე-ნას, მოუძლოურებულა თვალთ გაპყურება სიერცეს. აღმოსავლეთისკენ ცა ოღნი შეთეთრდა, შეუთეთრ-და წყერები კაცკასიის ქელზედ გაწოლილ ღრუბ-ლებსაც. ერთ ადგილას ღრუბლები პირისფერად შეიღებენ; აგერ გადიშალენ ისინი, როგორც ვარ-დის კოკორი და იმათ შუა ამოჩნდა სახე, სურათი თანდათან მთლად და ცხადად იხატებოდა, აგერ მთლად გამოირკვა ღრუბლებისაგან. ის იყო! ღრუბ-ლებიდან ელო უღიზოდა ანდროს, იმისკენ მიუზი-ნავდა, ბროლის მკლავებს უწევდა.



ომაპიძიანთ სახლის ერთ ფანჯრიდან თითქმის მთელი ღამე მოჩანდა სინათლე, ეს ელოს ოთახის ფანჯარა იყო. ოთახში იდგა ჩუქურთმით მორთული კრაოტი ფარჩის საბანი ფხებით იყო მიგდებული. საური თითქმის ნახევრად ავეცილიყო. ყურთბალი-ში ევლო ეფხვის ტყავზე, რამელაუ საწოლ წინ ეფინა. იქვე ეყარენ აბრეშუმის ჭრელი წინდები და ოქრომკვდით მოქარგული პაწია წუდები. ქალი ბა-ლიშ დაყარაობოდა. პურანგის საკინძი ჩამოსხნოდა, თმა დაშლოდა და გულზედ გადმოფენოდა. საწოლს წინ იდგა ჩუქურთმებით შემკობილი სპილენძის სტალი. მეორე მხარეს გამდელს ეძინა.

— როგორ გაუკვირდა დედას, ფიქრობდა ელო, როცა ცრემლები მომჩრია გასაკვირველიც იყო

იმიითვის: სარიდანი მართლა და შეენიერი ახალ-გაზდა—თვალადი, ტანადი, გულითადი, შოლქინე, შემქმნელი. სხვა რაღა უნდა დედის გულს?.. იქნება მოუაზრებლობაც იყოს ჩემი წინააღმდეგობა? მაგრამ რად იქნეა წინააღმდეგობა, ანდრო რომ ეამჯობინო! სარიდანს ჩამომავლობით უპოვია პატრიცი და ქო-ნებაც, ანდროს კი თავისი ნიჭით დაუმსახურებია სა-ხელი; სარიდანი გონებითი სიბნელეა, ანდრო კი ნათელია. რამდენ რასმე მასწავლის ისეთს, რაც ესე ძალიან მიიდა გავიყო! იმან ყველაფერი იცის. სა-წყალი! რა ძალიან უყვარვარ! თვალს ვეღარ მა-შორებს ხოლმე... არა! ერთობ გაუბედვანია. ჰგონია ევრ დაეფასებ იმის სიყვარულს, ჰგონია მეწყინება იმისი აღსარება და ევრ მიმდებარე... სარიდანი? მისა რა ენაღვლება, რასა გვრძობა: მოეწონვარ და ცდი-ლობს წამიყვანოს. ვინ იცის, მევე როგორ მეტყე-ვოდეს!.. ელოს ცრემლები მოგრა, არა, უნდა ე-ცნობო! თქვა იმან, გადმოვიდა, მიუჯდა სტალს და დაიწყო წერა.

მეორე დღეს ელომ მოახლეს ხელით გაგზავნა წიგნი ანდროსთან, მაგრამ დედამ იღუშალაად ჩაიკვლო ის ხელში:



— მეტი აღარ შემიძლია! ამბობდა ანდრო. უნდა გამოუტყალო ელოს დაფარული და მივილო იმისაგან ან სიცოცხლე და ან სიკვდილი. ჩემ გაუ-ბედობაში დრო გადის და იმაზედ ათასს უჭირავს თვალთ. რაღაც ხმები მესმის... თუ ახლა უღირსი ვარ იმისი, მერმე ხომ დაეიშახურებ ამ ბედნიერ-ბას. მე დაეარწმუნებ იმას. რატომ? ხომ უკეთესი შედეგი მაგელის; ხომ იცაან, როგორ მიჩნეული ყვერა ბატონ ერეკლეს. უარი რომ მითხრას? მა-შინ...  
 დიდი ხანი იყო, ანდრო აწნაირი ფიქრებით გა-რთული. ღამე კარგა ვატყდა. ოცნებებმა მთლად შეიპყრეს იმისი გონება და იმისი სურათი, ვინც შე-ადგენდა ანდროს სულის დემას. იგი უფრო ცხადად, უფრო გარკვევით დაეხატა თვალ წინ. ელო დალო-ნეიული დაყურებდა ჰაბუსს, თითქოს ენარლებო-ტანჯული. ანდრომ ევლარ შესძლო შორიდან მხე-რა, დააპირა მიახლოებოდა, მუხლ მოდრეკილი შეჩებოდა ბავთი იმის ტანისამოსს, შევედრებოდა მი-ენიქნინა სიცოცხლე, გენათებინა ცხოვრების გზა. კიდევ მიუახლოვდა სატრფოს, მაგრამ იმ ადგილმა, სადაც ანდრო იდგა, ძირს დაწვიდა დაიწყო; ის ძირს მიდიოდა, ქვესქელს ინთქებოდა, შორდებოდა

სასურველს; ელო-კი იღვა უძრავად, მხოლოდ უფრო დაღონდა, ცრემლები მოერია თვალეში. ვამოხნდა მეორე მხრივ სარიდანი და დაუახლოვდა ქოსს...

მეორე დღეს ანდრო მეფის კარის სამდივნოში რალაკა ანგარიშებში იყო ვართული. გაილა კარი და შემოვიდნენ მეფე და ბატონიშვილი გიორგი. მოწიწებით მიესალმნენ ბატონს. ერეკლე მიუბრუნდა უფროს მოხელეს და უბრძანა:

— თბილისში მივდივარ.

ჩემ მოსვლამდის სასტიკად უნდა დღევნოს თვალი სანაპიროს. შემოიღო ჩემთან და გეტყვი; რა ბძანება უნდა დამზადდეს ამის შესახებ. მინდოდა მეობინადეც გამეკვზენა სანაპიროში, მიუბრუნდა მეფე გიორგის, მხნე ახალ-გაზდაა, მაგრამ დეე შინ დარჩეს; გუშინდელს დანიშნულს დღეს სალაშქროდ ვერ გავგზავნი.

— ბედი აქვს სარიდანს, თქვა ბატონიშვილმა, აქ თქვენი წყალობა, იქ შეუღარებელის ელოსი.

ანდრო ამ ამბავზე უცრად გაფითრდა და გულშეწუხებული იატაკზედ დაეცემა, თუ არ მიშველდებოდნენ. მეფემ შენიშნა, ცოტა ხან ჩააკვირდა თავის საყვარელ მსახურს და გულწაწყენი გატრიალდა.



გოჯასპირი.

ივანია

სახეშმარო ვასართობი

გოჯასპირ და ივანია



ივანია. ავი კვირა, ახლა რომ გვეიარეთ, კი იქნება დასამახსოვებელი.

გოჯასპირი. როგორ, რა მოხდა მაგისთანა?... ივანია?.. მე ძალღების ხრიალის მეტი არა შემინიშნავსრა. მაგ ოხრებმა

ლამით ძილი გამიფრთხეს. სულ არ დამძინებია გასულ კვირაში. როგორც ჩამეძინებოდა, ასტეხდნენ ასეთ ყოფას, ასეთს ხორხალს, რომ ზუთჯერ კი წამოვიარდი გაუთკბული ლოკინიდან!

ივანია. ინტერესი კვირაა, ბატონო. ძალღების თავის ინტერესები ოუტყდით: ვარდისფერის დღესასწაული მოუვიდათ; კულუცინობენ, ბატონო!.. მარა სად მათი ინტერესები და სად კაცების. ტფილისის მოწინავე კაცები კილა უფრო დევრიენ ერთქამეთს.

გოჯასპირი. რაო, იმათ რალა დემართათ?

ივანია. ამომრჩეველების წინ თავს იწონებენ. გაქვინ წინგა შევიხვედ საქალაქო დარბაზში და ძალიან რუზრუზს წაეაწყვი თავზე: არა, მე უნდა

ვიქნე მოურავით და არა მეო. შეიქნა ერთი ხრიკები და მიწე-მოწევა. ერთმა თქვა, მე ამდენი და ამდენი გავკეთე, მე უნდა ვიქნე მოურავითო. მეორემ უთხრა: არაო, რაცხა შენ გავკეთე, ოვი ყველა ჩემი გავკეთებულა, თვარა კი ენახავდი შენ სიერს, მე რომ გვერდით არ გყოლადო. მეც მე უმუყვენ ერთქამეთს სამღურავს; მარა სიტყვით კი არაფელს ეუნებოდენ ერთქამეთს... ისეთ, თვალით ანიშნებდენ მოგეცა სიკოცხლე, იმ მოორემ დიდი ცხვირი გოუქეთა, ვითამ ვერ მოგართეო. ახლა ამავე პირველმა ულაშვებზე გელისეა ხელი, ვითამ კაცი არ ეყოფილვარ, თუ მე შენ სულ ყურტული-ყურტულით არ ჩამოგაბძანე, მაქანა მალღობზე რომ სკამი დავიდგავს და შესკუბებულხარო. შეიქნა იმათი ერთი

თელის ბრიალი, უღვაშების გრება და ცხვირის ცმაცუნე. მიუხედავად, მოგვცა სიკოცხლე, ამომრჩეველები ამ მუნჯურს ლაპარაკს და გააღინეს ზმუკი: მჟუ!... მჟუ!... ვითამ კი შევიტყვეთ, თქვენ რეიტხაზე დატაკებინართ ერთჯამეთაო.

**გოჯასპირ.** მაშ დიდ ამბავს უნდა მოველოდეთ იქითა კვირაში.

**ივანე.** დიდი ამბავი იქნება, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს. მარტო ავი მაწუხებს, რომ არც თქვენებური და არც ჩვენებური აღარაეინ არის იქნა, თეარა კი ვაყურებებდით მაგათ თავის სიერს, კი გაეაღინდით დიდ ბრაგენს!

**გოჯასპირ.** მერე ვისი ბრალია, რომ არ არიან? მამაშვილობამ, ე მაგ „ბრაგენის“ ბრალია. ჩვენ მარტო ყვირილი გვიყვარს და საქმის კეთება კი არა.

**ივანე.** არა, ბატონო, გოჯასპირ. რეიზა ბძანებთ მაგას?... ჩვენი განათლებულები ძალიან საქმეს აკეთებენ: ამ კვირეში ბარე ორი ახალი ბანკის წესდება გამოგვიტყვეს.

**გოჯასპირ.** კიდე ბანკი განა არ გვეყო თავსატეხთ, რაცა გეაქვს? ახლა კიდე ევ რალა მოუგონიათ?

**ივანე.** ეს, ბატონო, ეს ენალი ბანკები მებატონისა და ყმის გასამდიდრებელი იქნება. ფული დატრიალდება, ბატონო გოჯასპირ, ფული!... და მერე ფურიოთ ხელი ბაჯალღებში!

**გოჯასპირ.** მე ვიცი ბოლოს ფულის გამრავლების მაგიერად, ისე ჩვენ გავტყვერება ტყაი.

**ივანე.** მაგი სტორიე მართალი ბძანეთ, ასლი მართალია. მარა ისიკარგია, ბატონო, გოჯასპირ, რომ ეინცხამ ახალი ბანკის წესდებები შეადგინა, ისინი მიინც გეისქელებენ ჯიბეს ჯამაგირებით.

**გოჯასპირ.** ევ არის უბედურება, რომ ე მაგებებს სულ თავის საკუთარ ჯიბისათვის იგონებენ. გეიტხოზენ ახალ-ახალ ბანკებსა და ჩვენ სოფლის ხალხსა კი მაგათი მფოხნებით ერთი—რომ ტყაი სძერება და მეორე—ერთმანეთს დავერეყით და კიდე უფრო თავებს დავამტრეცთ. ისე გადავეცილებით ერთმანეთსა, რომ სულ ამოვიყლიტებით?

**ივანე.** კი, ბატონო, რაც მართალია, მართალია. არა, ბატონო, ჩვენში ხეირი არ იქნება და არა! თელხარბი ვართ, ერთს მეორის სიკეთე გეშურს.

**გოჯასპირ.** მაგან არ დალუბა ჩვენი საქარეველო?...

**ივანე.** ეგერ, ბატონო, გუშინ წინ „იერიასში“ წევიკითხე ეინცხა ერთი მოსიგელა გამოჩენილა: ვითამ და მეცნიერი ვარო, ისტორიაში მამალი მეგლი გადამიყლაპამსო. მიდგომია და იმისთანა ოჩობოდოს წერს, ერთი მარცვლი აზრიც რა არის, იკიც ვერ გვეიგე. სუნთლად გამოჩერჩეტებულია იგი მამა ცხონებულის შვილი; ტყუილად სახელს უხტენს „იერიის გაზეთს“, მეტი არაფელი გამოადის იმის ჩლოფინიდან.

**გოჯასპირ.** მაშ მოდი ერთი მომართე შენი ჩონგური, ჩემო ივანიკა, და შეახხი ქება შენებურად. დიდი ხანია შენი ჩონგურის ხმა არ გამოგონია და ძიელ მომენატრა.

**ივანე.** ახლავე, შენ ნუ მოუკვტე ჩემ თავს:

ვი რა უყო თავსაო,  
მერე პატარა კაცსაო;  
არცარა შეუძლიარა,  
არც დააყენებს თავსაო.  
ანა-ბანა უსწავლია,  
ერთის ისტორიასაო;  
თავი სწავლული ჰგონია,  
გეაძლევს ბოეშურ კითხვასაო.

—  
ვინც მოსთვის გაზეთს მოაქლის,  
სხანს, ვერ შოვობს საწესაო.  
ღმერთი რომ კაცს გოუწყრება,  
ღოუკარგავს დაფრებსაო;  
გხასა და ეკვალს სულ აურეფს.  
შემოსავს ბალღებსაო;  
მტრების სასაცილოდ გახდის,  
დაზორებს მოყვრებსაო.  
ხეირიანს ვერვის იტანს,  
იპატეებს მოსესაო,  
ამ გაცვეთილ სიტყვის გუდას  
ატანჯუნებს მოხტეფლასაო.  
ლიბეტ, ლიბეტ, ლიბეტ, ლიბეტ,  
ლილიბეტა, ლიბეტაო!..

# გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებადართვით 1-ოკტომბერს, 1893 წელსა, ოდესის უნი-  
ვერსიტეტში საისტორიო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კურსდამთავრებული გ. მ. ცაგარიაშვილის მიერ

## ქ. ბათუმში გაიხსნება პირველ დაწყებითი სკოლა

წინსიონით და გაკვეთილების გასამეორებელი (რეპეტიცინის) კლასებით

სკოლის მიზანი არის ყმაწვილის მოამზადება, ყოველგვარ სასწავლებლების. პირველ კლასებში ამასთანვე მიიღებენ სკოლაში მოზღიოლებაც გაკვეთილების გასამეორებლად.

სკოლაში ყურისმგდებლად, გარდა ცაგარიაშვილისა, იქნება კიდევ ოდესის უნივერსიტეტში ფიზიკა-  
მათემატიკის ფაკულტეტზე კურსდამთავრებული ა. ს. ფანცხაგა. ყმაწვილები მიიღებიან პირველ ოკტომბრიდან  
სკოლა იმყოფება გურიის პატარა ქუჩაზედ პაქინოვის სახლში, ფარსადან მიქელაძის სახლის გვერდით.

## მიიღება ხელის მოწერა

მომავალ 1894 წლისათვის ქართულ ქურონალ

### „მოაზა“-ზე.

1 წლით 6 თვით 3 თვით.

ფაქტი გვხვანით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . 10 მან. 6 მან. 4 მან.  
საქართველო გარეთ . . . . . 13 „ 7 „ 50 კ. 5 „

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოიტანა ეწველება, შეუძლიან შემოიტანოს: 1-ლ იანვრამდე 4 მ., 1-ლ მი-  
სამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 3 მ.

ქურონალზე ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ კან-  
ტორაში, ლორისმელიქოვის ქუჩა, №-13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, въ Редакцію „Моамбе“.

## საბალახო წარმოება

### „როკვი“

მისილ სტეფანეს მის ბეთანიშვილისა  
ქ. ბათუმში.

ამ ბაღში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჯე-  
რის და სახლის მოსართავი მცენარეები. აგრეთვე  
ისყიდება იმათი ნერგები და ყვავილების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტრო-  
პიკული ჰავაა, ამისგანმო ბეთანიშვილის ბაღში  
მოჰყავთ და უფლიან ძვირფას ტროპიკულს მცენა-  
რებს, რომელნიც ჩრდილოეთის გრილ ჰაერში არ  
ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემოვნების  
მებებრ მოიპოვონ ყოველწლიური ამგვარი მცენარეები,  
რომელნიც ოთახის თბილ ჰაერში ხარობენ

ბეთანიშვილის ბაღში არის ამ ქაშად ორასი ჩა-  
ისფარდისა, ბურბონისა, რემონტატივისა და სხვა  
წილი ვარდების ნერგები. ხეხილის ნერგები საუკე-  
თსო რუსეთის ტყეობის გავრცობა, ორისა და ს მი  
წლისა. ფიჭვეული და ლიბანოს კედრის იგზავსი ხე-  
ვის ნერგები; ჩირკვეული მცენარეები ყოველგვარნი,  
რომელნიც მუდამ მწვანობენ, ანუ რომელთაც ზამ-  
თრობით ფოთლოლი სცივიათ.

სია ამ მცენარეებისა დაბარებისათავე უფა-  
სოდ იგზავნება.

Дозв. ценз. Тифлисъ, 9 Октября 1893 г.

## სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

### „კვალნი“

ხელის მოწერა „კვალზე“ ამ 1893 წელს

განვიტობა: გაზეთი ნახევარი წლით ღირს  
გაგზავნით—4 მანეთი, სხმი თვით—2 მანე-  
თი, ოლი თვით—1 მანეთი და 50 კ.

რედაქციის ადრესი: დიდი ვოლოკოზნი ქუჩა,  
№ 22 აივანოვის სახლი.

გ ა რ ი ა მ ი ვ ა ნ ე ს ა ს უ ლ ი

### დემურიასი

განწესდა ტფილისის მესამე განყოფილე-  
ბის საქალაქო ბუბიათ და დგას ტროიცკის  
პერეულკაში № 9.

სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა (Типог. Гр. Изд. Т—ва)